19.06.2020

**ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში**

2020 წლის მაისი

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 0.5 პროცენტით შემცირდა. აღნიშნულ პერიოდში ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის ჯგუფზე ფასების 4.4 პროცენტიანი შემცირება დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი 6.3 პროცენტით გაიზარდა. სამთო-მოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე ფასები გაიზარდა 11.3 პროცენტით, დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე 6.9 პროცენტით, ხოლო ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის ჯგუფზე 21.9 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 წლის მაისში ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

| კოდი | ჯგუფები და ქვეჯგუფები | 2019 წლის მაისთან | წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში |
|---|---|---|---|
| | **სულ** | **106.3** | **6.26** |
| **B** | **სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება** | **111.3** | **0.33** |
| **C** | **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია** | **106.9** | **5.85** |
| 10 | კვების პროდუქტები | 108.4 | 2.64 |
| **D** | **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი** | **121.9** | **0.08** |
| **E** | **წყალმომარაგება; კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით** | **100.0** | **0.00** |

*რიცხვების  დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

19.06.2020

**ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო**
**პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი**
(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)




**საკონტაქტო პირი:**
გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400).
ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge